

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი -
„პროგრესის სახლი"-ს საგაზეთო ჩანართი №20 - 2022 წელი

# თვითმმართველობა

## ინფოგრაფიკებში

მომზადებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის მიხედვით



**2022 წლის ბიუჯეტის სრული ვერსია იხილეთ ვებგვერდზე – http://chokhatauri.ge**



პრიორიტეტის ბიჯეტი - 1 221 000

**პრიორიტეტი**

*პროგრამული კლასიფიკაციის კოდი - 06.00*

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**



## პროგრამა 06.01
## ჯანმრთელობის დაცვა
### ბიუჯეტი – 180 000 ლარი






**პროგრამის განმახორციელებელი –** ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

**ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა**

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები. კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სადეზინფექციო და სხვა სამუშაოების ჩატარება.

## ქვეპროგრამა 06.01.01
## საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაცვა
### ბიუჯეტი – 140 000 ლარი



## ქვეპროგრამა 06.01.02
## კორონა ვირუსის (COVID 19) გავრცელების საწინააღმდეგოდ გასაწევი ღინიაძიებების დაფინანსება; თანადაფინანსება
### ბიუჯეტი – 40 000 ლარი

**პროგრამის განმახორციელებელი –** ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი –** მუნიციპალიტეტის მერიას თანადაფინანსებას გაუწევს კორონა ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ ჩასატარებელ ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს ინფექციის მართვას და ნაკლებ გავრცელებას.

**მოსალოდნელი შედეგი –** მუნიციპალიტეტში ეპიდემიისაგან დაცული მოსახლეობა






| პროგრ. კოდი | დასახელება | ლარი |
|---|---|---|
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა | 180 000 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაცვა | 140 000 |
| 06. 02 | კორონა ვირუსის (ჩ#VID 19) გავრცელების საწინააღმდეგოდ გასაწევი ღინიაძიებების დაფინანსება; თანადაფინანსება | 40 000 |

2022 წლის ბიუჯეტის სრული ვერსია იხილეთ ვებგვერდზე – http://chokhatauri.ge

# პროგრამა 06.02
# სოციალური პროგრამები
ბიუჯეტი – 1 054 000 ლარი

## ქვეპროგრამა 06.02.01
## დაკრძალვის ხარჯები
ბიუჯეტი – 2 000 ლარი



**ქვეპროგრამის განმახორციელებელი –** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი** – ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მონაწილე ვეტერანებისა და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯის დაფინანსება
**მოსკალოდნელი შედეგი –** ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანებისა და ასევე საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯის დაფინანსება

## ქვეპროგრამა 06.02.03
## სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი
ბიუჯეტი – 160 000 ლარი



**ქვეპროგრამის განმახორციელებელი –** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი** – სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისა და მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია დახმარება გაეწიოს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს 5000 ლარამდე ერთჯერადად, ერთ ბენეფიციარზე გამოიყოფა 500 (ხუთასი) ლარიდან 5000 (ხუთიათასი) ლარის ოდენობით.. ბინის ქირა 130 ლარი თვეში (უბინაოდ და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მოქალაქეებისათვის).
**მოსკალოდნელი შედეგი –** დახმარება გაეწია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახებს

| პროგრ. კოდი | დასახელება | ლარი |
|---|---|---|
| 06 02 | სოციალური პროგრამები | 1 054 000 |
| 06 02 01 | დაკრძალვის ხარჯი | 2 000 |
| 06 02 03 | სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი | 160 000 |
| 06 02 04 | დევნილთა დახმარება | 11 000 |
| 06 02 05 | საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება | 21 000 |
| 06 02 06 | სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი | 450 000 |
| 06 02 07 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 250 000 |
| 06 02 08 | გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა | 20 000 |
| 06 02 09 | სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება | 140,0 |

National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world

ჩანართი მომზადდა პროექტ „აქტიური მოქალაქეები რეალური თვითმმართველობისათვის“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ.

პროგრესის სახლი
ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი